



საქართველოს 2025 წლის სექტემბრის პერსპექტივა: მშპ-ის ზრდას საშინაო მოთხოვნა და მონეტარული სიფრთხილე აფერხებს

გრაფიკი 1. საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ.წ.)



ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის უახლესი პროგნოზების მიხედვით, ივლისის მონაცემებზე დაყრდნობით, მოსალოდნელია 2025 წლის მესამე კვარტალში საქართველოს ეკონომიკის **5.8%-ით**, ხოლო მეოთხე კვარტალში **6.3%-ით** ზრდა. ჩვენი პროგნოზის თანახმად, 2025 წელს წლიური ზრდა **7.3%** იქნება.

საქართველოს 2025 წლის სექტემბრის პერსპექტივა: მშპ-ის ზრდას საშინაო მოთხოვნა და მონეტარული სიფრთხილე აფერხებს





მონეტარული ინდიკატორებიდან, 2025 წლის ივლისში უცხოური ვალუტის დებოზიტები წლიურად **12.2%-ით** გაიზარდა, ეროვნული ვალუტის დებოზიტები – **8.5%-ით**, რაც დოლარიზაციის ზრდაზე მიუთითებს და უარყოფითად აისახება პროგნოზზე. ფართო ფულის შემადგენლობაში შემავალი დებოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი წლიურად **46.3%-დან 47.1%-მდე** გაიზარდა, თუმცა თვიურ ჭრილში **47.1%-მდე** შემცირდა. ამის საპირისპიროდ, **M2** აგრეგატი წლიურად **10.4%-ით** გაიზარდა, რაც დადებითად აისახა პროგნოზზე და მიანიშნებს, რომ მონეტარული პირობები უფრო ხელსაყრელია, მოთხოვნის მხარეს კი დინამიკა გაზრდილია.

ივლისში ექსპორტი **10.8%-ით** შემცირდა, ხოლო იმპორტი – **6.6%-ით**, რამაც სავაჭრო დეფიციტი **3.4%-ით** შეამცირა. წმინდა ექსპორტის ეს გაუმჯობესება დადებითად აისახა მშპ-ის პროგნოზზე.

2025 წლის ივლისში, თვიურ ჭრილში, ქართული ლარი გამყარდა შედეგ ვალუტებთან მიმართებაში: აშშ დოლართან – 0.6%-ით, ევროსთან – 2%-ით, რუსულ რუბლთან – 4.4%-ით, თურქულ ლირასთან – 2.3%-ით. გაცვლითი კურსის ასეთმა დინამიკამ უარყოფითად იმოქმედა მშპ-ის ზრდის პროგნოზზე, რადგან ძლიერი ლარი ამცირებს ექსპორტის კონკურენტუნარიანობას. ამავდროულად, ოფიციალური სარეზერვო აქტივები 331 მლნ აშშ დოლარით (7.1%) გაიზარდა თვიურ ჭრილში, რაც გარე ლიკვიდურობის პირობების გაუმჯობესებაზე მიუთითებს.

2025 წლის ივლისის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია 4.3%-ს შეადგენდა, რაც ოდნავ აღემატებოდა ეროვნული ბანკის 3%-იან სამიზნე მაჩვენებელს, თუმცა მაინც ასახავდა შედარებით სტაბილურ საფასო გარემოს. ამავე დროს, Euro Brent-ის სპოტ ფასი წლიურად 16.6%-ით შემცირდა, რამაც შეამსუბუქა გლობალური საფასო წნეხი. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასები მნიშვნელოვანი ფაქტორია საწარმოო საშუალებების ხარჯების თვალსაზრისით, ინფლაციამ დადებითი გავლენა მოახდინა მშპ-ის პროგნოზზე.



მშპ-ის პროგნოზის მეთოდოლოგია

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენი მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage'-ს) აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.